ამონაწერი

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
სხდომის #2 ოქმიდან

25.01.2018

მოისმინეს: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის არჩევნების გამოცხადების შესახებ
/ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი, პროფ. თ. ბერიძე/

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. თ. ბერიძემ აღნიშნა, რომ ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წინაშე აყენებს საკითხს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის არჩევნების გამოცხადების შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 28**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 29-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-20 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 23 დეკემბრის №135/2013 დადგენილების საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ადგენს:

1. გამოცხადდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის არჩევნები;

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის არჩევნები ჩატარდეს 2018 წლის 30 მარტს 12:00 საათიდან 15:00 საათამდე;

3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილსის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავების მსურველ კანდიდატთა განცხადებების მიღება განხორციელდეს 2018 წლის 5 მარტიდან 20 მარტის ჩათვლით (9:00 საათიდან 17:00 საათამდე) მისამართზე: თბილისი 0186, უნივერსიტეტის ქ. №2, X (მაღლივი) კორპუსი, ოთახი №310.

4. დეკანის თანამდებობის დაკავების მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება ფაკულტეტის საბჭოს სახელზე (განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული პირის ვინაობა, საცხოვრებელი მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი, სასურველი თანამდებობის ზუსტი დასახელება.)

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) 2 (ორი) ფოტოსურათი (3X4);

ე) ფაკულტეტის განვითარების კონცეფცია (არაუმეტეს 5 გვერდი);

ვ) ცნობა სამედიცინო ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;

ზ) ცნობა დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე, პროფ. თ. ბერიძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს სწავლული მდივანი, ასოც, პროფ. მ. ნაცვალაძე